ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ44. 442410754
თარიღი:16/04/2024

**,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში“ კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 13.03.2024 წლის N44.44240739 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.“ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში“ კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 13.03.2024 წლის N44.44240739 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ:

,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების’’ქვეპროგრამის კონკურსის ჩატარების წესის დანართ N2-ში, მე-9 და მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმის რედაქციის შესაბამისად(დანართი N2 ერთვის).

2.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი